საქართველოს მემარცხენე სოც.-ფედ. პარტია.

წელიწადი მესამე

ტფილისი

მთავარ კომიტეტის ორგანო

გაზეთი „სრიგუნა“ ღირს
თვეში 5.000.000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 400,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სასახლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34.

განცხადების ფასი:
1 გვ. 20 კაპ. ჩერვონ. ნონპარელი
4 „ 15 „ „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 1 მ. 50 — ჩერვონ.
4 „ 1 მ. — „

№ 606 შაბათი, ოქტომბრის 27, 1923 წ. უოველდღიური გაზეთი ფასი 400,000

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის მთავარი კომიტეტი ამით აცხადებს პარტიულ ორგანიზაციების საყურადღებოთ, რომ ნოემბრის 7-სათვის ქ. ტფილისში მოწვეულია.

პარტიის მეორე ყრილობა

განსახილველი საკითხები:

1. საერთაშორისო მდგომარეობა.
2. დამოკიდებულება კომპარტიასთან.
3. მოხსენება მთავარი კომიტეტის მოქმედების შესახებ.
4. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
5. მოხსენებანი ადგილებიდან.
6. მიმდინარე საკითხები.
7. არჩევნები.

წარმომადგენლობის ნორმა: ყოველ 100 წევრზე იგზავნება ერთი დელეგატი. ორგანიზაცია, რომელშიაც ითვლება ას წევრზე ნაკლები, მაინც გზავნის ერთ დელეგატს. არჩევნები ხდება ორგანიზაციის წევრთა საზოგადო კრებაზე.

ყრილობა გაიხსნება ცენტრალურ კლუბში დღის 12 საათზე.

გადამწყვეტი ბრძოლის მოლოდინში

გერმანეთის ამბები ახალ სურათს და შესაძლებლობის ახალ სახეებს შლის საბჭოთა რესპუბლიკის კავშირის წინაშე. ევროპის შუა გული რევოლიუციის ცეცხლის წინაშე სდგას. გერმანიის პროლეტარიატი უკვე აფრიალებს ბრძოლის დროშას. საქსონიასა და ტიურინგიაში ძალა-უფლება მუშათა კლასის ხელშია. ამ ჟამად ჰამბურგის პროლეტარიატი იბრძვის თავისუფლების ბარიკადებზე.

თანამედროვე გერმანეთის სინამდვილეში შექმნილი მდგომარეობა იპყრობს მთელი ქვეყნის ყურადღებას. კაპიტალისტური მსოფლიო გულის ფანცქალით მოელის გერმანეთის პროლეტარიატის დამარცხებას. ბურჟუაზიულმა ევროპამ კარგად იცის ის მოსალოდნელი „საშინელება“, რომელსაც ქმნის გერმანიის მუშათა კლასი. ევროპის შუა გულში აგუზგუზებული რევოლიუციის ცეცხლი მოედება მთელ კაპიტალისტურ ევროპას და გადაბუგავს ძველ მსოფლიოს თავისი დახავსებული ცხოვრებით.

მაგრამ განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გერმანეთის პოლიტიკური ვითარება საბჭოთა რესპუბლიკების მასსებში. ჩვენთვის აშკარაა ის მოსალოდნელი შედეგები, რომლებიც ლოგიკურად დაკავშირებულია გერმანეთის ამბებთან. **გერმანეთის რევოლიუციას შეუძლია გამოიწვიოს ევროპიული ომი.** ბურჟუაზიული ევროპა ვერ შეურიგდება რევოლიუციონურ გერმანეთს. იმპერიალისტური საფრანგეთის სამკვდრო-სასიცოცხლო ინტერესი ყურმოჭრილ გერმანეთის არსებობაში გამოიხატება. გერმანეთის პროლეტარიატის აქტიურ ბრძოლის პოზიციებზე გადასვლა და განმარჯვება დიდ საბრთხეს შეუქმნის საფრანგეთს. ამდენად შეიარაღებულია შეჯახება წითელ გერმანეთსა და ყვითელ საფრანგეთს შორის.

არსებითად ანალოგიურ მდგომარეობა იქმნება გერმანეთის მოსაზღვრე სახელმწიფოებში. გერმანეთის რევოლიუცია შლიახტურ პოლონეთს მოამწყვდევს ორ ცეცხლს შუა—აღმოსავლეთით წითელი რუსეთი, დასავლეთით—წითელი გერმანეთი. აშკარაა, პოლონეთი გაეხვევა პროლეტარულ რევოლიუციის ქარ-ცეცხლში. ამიტომაცაა, რომ თანამედროვე პოლონეთი სამხედრო მზადების ტროპიკულ ციებცხელებაშია. პოლონეთის ბურჟუაზიული მთავრობა უკვე თავს უყრის „საიმედო“ სამხედრო ძალებს და რაზმავს მათ რევოლიუციონურ ფრონტის საწინააღმდეგოთ.

მეორე მხრით, **გერმანეთის რევოლიუციის დამარცხებაც უტყუარი ნიშანია საერთაშორისო ომის.** მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ამ შემთხვევაში ბრძოლის ობიექტი რუსეთი იქნება და არა გერმანეთი. ჩვენთვის იმთავითვე აშკარა იყო და ანბანური ჭეშმარიტება: რევოლიუციონური რუსეთი და რეაქციონური ევროპა დიდხანს ვერ შეინარჩუნებს წონასწორობას, პოლიტიკურ სტატიკას. ან მსოფლიო რეაქცია და ფაშიზმი, ან მსოფლიო რევოლიუცია და კომუნიზმი—ასეთია არსებულ ვითარების გულის წიაღიდან გამომდინარე დანასკვი.

სამიოდე წლის წინეთ საბჭოთა კავშირის მუშები და გლეხები გახვეული იყვნენ პერნამენტულ ბრძოლის ცეცხლში. პროლეტარული რუსეთი იბრძოდა იარაღით ხელში ანტანტის იმპერიალისტების წინააღმდეგ. ეს იყო **სამხედრო კომუნიზმის ხანა.** შემდეგ კი გადავედით ბრძოლის მეორე პერიოდში: შეიარაღებული შებრძოლება დიპლომატიურ ბრძოლის ფაზისში გადავიდა. ეს იყო **შესვენების ხანა.** საბჭოთა ხელისუფლება ახდენდა სამხედრო და სამეურნეო ძალების მობილიზაციას. ბურჟუაზიულმა ევროპამ დაიხია უკან, ჩვენც გადავდგით ნაბიჯი შინაურ აღმშენებლობისაკენ. დღეს კი მდგომარეობა არსებითად შეიცვალა. ბურჟუაზია გადმოდის შეტევისაკენ. იგი მოღონიერდა, გაძლიერდა სოციალ-რეფორმისტების წყალობით და ბრძოლის ჰანგებზე მღერის. დამარცხდება თუ არა გერმანეთში პროლეტარულ-კომუნისტური მოძრაობა, ბურჟუაზიის ცეცხლის მფრქვეველები საბჭოთა რესპუბლიკების წინააღმდეგ ამეტყველდება.

ეჭვი არ არის, ჩვენ ვიმყოფებით მსოფლიო ომის მოლოდინში. დღეს თუ ხვალ დაირღვევა პოლიტიკური ჰარმონია და ევროპა სისხლის ახალ ნაკადულებით მოიფინება. უნდა ვემზადოთ დიდი ამბების, ისტორიულ მოვლენების ჩვენს სასარგებლოთ შეტრიალებისათვის. ძლიერია საბჭოთა კავშირის ეკონომიური ხერხემალი, სამხედრო ორგანიზაცია, რევოლიუციონურ ბრძოლის სულისკვეთება. ყოველივე ეს თავდებია საერთაშორისო სოციალიზმის გამარჯვების.

შენიშვნები

2. ჩვენი პარტიის არსებობის ალფა და ომეგა.

დაკვირვებულ მკითხველს შეუძლია გვკითხოს: აუ გადამჭრელი პოზიციური ომი, გამართული ორ მოპირდაპირე კლასთა შორის ვერ ითმენს პარტიზანული რაზმების არსებობას, მაშინ რა აზრი აქვს ჩვენი პარტიის, მემარცხენე ს.-ფედერალისტების არსებობას? რაში გამოიხატება ამ პარტიის დამოუკიდებლად არსებობასა და მოღვაწეობის რეზონდეტრი?

კითხვის ასეთი სახით დაყენება არა ახალია, იგი თავიდანვე, ჩვენი პარტიის ჩამოყალიბების დღიდანვე დაგვიყენეს ჩვენ და წამ და უწუმ გვეკითხებოდენ: **რას ემსახურებით, რა გინდათ?** მაგრამ **კითხვის ამ გვარი სახით დაყენება არასოდეს არ ყოფილა ისე მომწიფებული, როგორც ახლა დღეს.** ჩვენს პარტიას აქვს სამი წლის რევოლიუციონური ისტორია, როგორც დამოუკიდებულ პარტიას; თითქმის ოქტომბრის გადატრიალების პირველ დღეებიდანვე ჩვენმა ჯგუფმა, მომქმედმა ჯერ კიდევ ძველი პარტიის ფარგლებში, სავსებით მიიღო და პრინციპიალურად გაიზიარა კომუნისტური მოძრაობას ძირითადი საფუძვლები, სამოღვაწეო პლატფორმა და ამ საზომით იხილავდა ყოველ მოვლენას მენშევიკურ საქართველოში; მენშევიკების წვრილ ბურჟუაზიულ პროგრამასა და პოლიტიკას ჩვენმა ჯგუფმა დაუპარისპირა საბჭოთა სისტემა, დიქტატური პრინციპები და დიდი რევოლიუციის ყველა ლოზუნგები. 1921 წლის თებერვლის გადატრიალების შემდეგ ჩვენ ფორმალურადაც დავდექით კომუნისტურ ინტერნაციონალის ნიადაგზე და როგორც დამოუკიდებელი პარტია ვიცავდით ყველა მას, რაც შეადგენდა კომინტერნის პლატფორმის ტვინსა და სულს. ასეთს პირობებში სრულიად ბუნებრივად უნდა ჩაითვალოს საკითხის წამოყენება ჩვენი დამოუკიდებლად არსებობის შესახებ.

მაგრამ საკითხს ვერ განვიხილავთ მხოლოდ ზოგად პრინციპიალურ საზომით; საჭიროა კითხვის გარკვეულ კონკრეტიულ ფარგლებში ჩაყენება და ისტორიულ-პოლიტიკურ საზომით განხილვა.

კითხვა სდგას შემდეგი სახით: რა აზრი და პოლიტიკური დანიშნულება ჰქონდა ჩვენი პარტიის დამოუკიდებლად არსებობას დღემდე და რა აზრი და პოლიტიკური დანიშნულება უნდა მიეცეს მას დღეის შემდეგ?

ყოველ პოლიტიკურ პარტიას ახასიათებს და ასხვავებს სხვა პოლიტიკურ პარტიისაგან არა მარტო ზოგადი თეორიული და პრინციპიალური მოსაზრებანი, არამედ უმთავრესად სამოქმედო გზები და მეთოდები **დასახულ მოსაზრებისადმი** მისაღწევი.

ჩვენი ძირითადი მიზანი და ალფა და ომეგა იგივეა, რაც კომპარტიისა და მთელი კომუნისტური ინტერნაციონალის: მოსპობა კაპიტალისტური წყობილებისა და განმტკიცება კომუნისტური ურთიერთობის; აღმოფხვრა ყოველგვარი ყვლეფისა, ექსპლოატაციისა და ჩაგვრის, შექმნა შრომის საფუძვლებზე აგებულ სოციალური წყობილების. აქ არ არის ჩვენს მასის განსხვავება, მაგრამ ვერც ამ წყობილების განხორციელების საშუალებებსა და პროგრამაში ვიპოვით ჩვენ **ისეთს განსხვავებას,** რომელიც მოითხოვდეს დამოუკიდებელი პარტიის არსებობას ისეთს პატარა ქვეყანაში, როგორიც არის საქართველო. ჩვენი გზა, მეთოდი, ტაქტიკა კაპიტალისტური მეურნეობის აღმოსაფხვრელად უკვე სავსებით დაუახლოვდა კომინტერნის პლატფორმას; ჩვენ თითქმის სავსებით ისეთივე თარაღითა და საშუალებით ვცდილობთ ძველი სოციალური ცხოვრების ტრანსფორმაციას, გარდაქმნას ახალს სამართლიანს ურთიერთობაზე, როგორითაც ამას ახდენს კომპარტია. ამ საკითხს ჩვენ შემდეგ წერილში დაუბრუნდებით.

ამგვარად ჩვენსა და კომპარტიას შორის არ არის არავითარი საკითხები, რომელიც რადიკალურად გვაშორებდეს ურთიერთობისაგან. არ არის თითქმის არც ერთი ღირსშესანიშნავი პრინციპიალური კითხვა, რომელიც მოითხოვდეს ჩვენს გამიჯვნას ერთმანეთისაგან და დამოუკიდებელი სახით არსებობას.

მაგრამ ჩვენი დამოუკიდებლად არსებობა აქამდე მოითხოვა საქართველოს სინამდვილემ და იმ ისტორიულ კონკრეტიულ პირობებში, რომელშიაც გვიხდებოდა მოღვაწეობა საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ საქართველოში. ჩვენი პარტიის დამოუკიდებლად არსებობის პოლიტიკური აზრი და დანიშნულება ამ ისტორიულ-კონკრეტიულ პირობების გამოცნობაში უნდა ვეძიოთ.

ჩვენ ვარსებობდით და მოვღვაწეობდით მიტომ კი არა თითქოს ჩვენ გვქონოდეს განსაკუთრებული აზრი სოციალური ცხოვრების მიმდინარეობის, მისი გარდაქმნისა და საქართველოს მომავლის შესახებ, არამედ უმთავრესად და ძირითადად იმიტომ, რომ ამას მოითხოვდა საქართველოში აქამდე არსებული კონკრეტიული პირობები.

რაში გამოიხატებოდა ეს პირობები, და რამდენად მოითხოვენ ისინი ჩვენგან მომავალშიაც დამოუკიდებული გზით სიარულს?

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე უკვე იყო აღნიშნული ერთი იმ მთავარი მიზეზთაგანი, რამელმაც ჩვენ გვაიძულა დამოუკიდებელი პარტიის არსებობის გზას დავდგომოდით.

საქართველო თავიდანვე გადაიქცა მენშევიკების ბატონობის ბუდეთ; ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ და საქართველოს დამოუკიდებელს გამოცხადებიდან მთელი ძალა-უფლება და პოლიტიკური აპარატი მენშევიკურ პარტიას ჩაუვარდა ხელში და იგიც გულმოდგინეთ ეწეოდა საქართველოში წმინდა ბურჟუაზიულ წყობილების განმტკიცებას და მენშევიკურ ყაიდაზე მოწყობას. მენშევიკური რეჟიმი დაუპირისპირდა საბჭოთა რეჟიმს და მთელი 3—4 წლის განმავლობაში ს.-დემოკრატია ყოველგვარი ხერხითა და საშუალებებით აძაგებდა კომუნისტურ მოძრაობას, ბოლშევიკურ პარტიას, საბჭოთა წყობილებას. მენშევიკების პროპაგანდად მოსწამლა მშრომელი მასები, შექმნა სრულიად ყალბი წარმოდგენა დიად კომუნისტურ მოძრაობის. კომპარტია ფაქტიურად მოკლებული იყო საწინააღმდეგო აგიტაცია გაეწია, რადგან ფაჩულია-კედიასა და რამიშვილის რაზმებმა არ მისცეს გასაქანი ბოლშევიკებს. ისეთს პირობებში ჩვენი ჯგუფი სისტემატიურ ბრძოლას აწარმოებდა მენშევიკების ამ პროვოკაციულ პროპაგანდის წინააღმდეგ და სიტყვითა და კალმით ხელში იცავდა კომუნისტურ მოძრაობას, საბჭოთა სისტემას, ბოლშევიკურ მეთოდებს. ასეთს პირობებში ჩვენ ფაქტიურად ბოლშევიკების დამხმარე ძალა ვიყავით საქართველოში და გაჭირვების დროს მათს როლს ვასრულებდით. მთელი 1919—20 წლების განმავლობაში ჩვენი ამხანაგები და თანამოაზრენი მთელს რიგ გამოსვლებსა და წერილებში იცავდენ ბოლშევიკურ მეთოდებს და აყალბებდენ მენშევიკების პროვაკაციას. სიტყვიერი პროპაგანდით სხვა და სხვა ტრიბუნებიდან და პრესიდან ჩვენ მედგარი ბრძოლა გაუწიეთ მენშევიკებს. ამ ბრძოლამ თავისი ნაყოფი გამოიღო და მაშინდელს პირობებში ჩვენ საკმაოდ მოზრდილი როლი ვითამაშეთ ჩვენს სინამდვილეში.

სწორედ ამ პროპაგანდამ და მოქმედებამ გამოიწვია ისიც, რომ სოციალ-ფედერალისტთა პარტიას საუკეთესო, ნამდვილი მუშური და გლეხური ელემენტები საბჭოთა პლატფორმაზე დასდგა და მხარი დაუჭირა ახალ სოციალისტურს მთავრობას. ამით ჩვენ რამდენადმე თავიდანვე გავსტეხეთ მენშევიკური ფრონტი, კოალიცია და გამოვაცალეთ ხელიდან ის ძალები, რომელნიც მათთან მიდიოდა სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაციით.

1921 წ. 25 თებერვლიდან საქართველოს ცხოვრება ახალ პერიოდში შევიდა, და არსებითად შეიცვალა მისი სოციალ-პოლიტიკური ორიენტაცია

ლოზუნგები ოქტომბრის რევოლიუციის მე-6 წლის თავისთვის

რუსეთის კომუნისტურმა პ. თავის ყველა ორგანიზაციებს მიმართა შემდეგი ლოზუნგებით:

6 წლის წინად ჩვენ ჩამოვყარეთ მემამულენი და კაპიტალისტები. გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა განთავისუფლების მე-6 წლის თავს!

6 წლის წინად დავამყარეთ მუშათა და გლეხთა ხელისუფლება, გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლების მე-6 წლის თავს!

6 წლის წინად დავამსხვრიეთ ჩვენ ეროვნულ ჩაგვრის ბორკილები, გაუმარჯოს ერთა განთავისუფლების 6 წლის თავს!

დასავლეთის კაპიტალისტები ევროპას ომით ემუქრებიან.—ყველა ქვეყნების მშრომელნი მათ სასტიკ წინააღმდეგობას გაუწევენ!

მუშებო და გლეხებო! გასწიეთ კაპიტალისტთა ქვენა ზრახვების წინააღმდეგ საბრძოლველად და მშვიდობიანობის დასაცავად!

სასტიკი წინააღმდეგობა-მშვიდობიანობის დამრღვეველთ!

მუშათა დიქტატურა—ერთად-ერთი ხსნა არის ევროპისა.

მემამულეთა და კაპიტალისტთა კავშირის წინააღმდეგ—დიდი კავშირი მუშებისა და გლეხებისა.

მუშური გერმანია და ჩვენი მუშურ-გლეხური კავშირი—მშვიდობიანობისა და შრომის საფუძველია.

გერმანიის ორთქლის ჩაქუჩი და საბჭოთა პური დაამარცხებენ მთელს ქვეყანას.

გზა, ჩვენს გლეხურს პურს გერმანიის მანქანებზედ გადასაცვლელად!

გერმანიის რევოლიუციის დამარცხება მიგვიყვანს ჩვენი გლეხისაგან მეფის ვალების გადახდასთან, გაუმარჯოს გერმანიის რევოლიუციას!

თეთრი გერმანიის კავშირი მეფის გენერლებთან თან მოიტანს თავისუფალი გლეხის სიკვდილს და მუშისთვის ბორკილებს.

გერმანიის გაძარცვას მოჰყვება ჩვენი შრომის კავშირის გაძარცვა. მზად იყავით მუდამ!

სიკვდილი ფაშისტურ ჯალათებს, თეთრ გენერლებს და მეფის ლაქიებს!

ჩვენი რესპუბლიკის ერთა ძმური კავშირი—მტკიცე საფუძველია კაპიტალისტურ მძარცველების წინააღმდეგ.

მუშათა და გლეხთა კავშირი—საფუძველია ჩვენი გამარჯვებისა.

ჩვენი ძლიერება ჩვენს მეურნეობაშია—გააუმჯობესეთ იგი დაუღალავად!

თუ გინდა მშვიდობიანობა—გააუმჯობესე მეურნეობა, დაიხმარე გლეხს, გამოიჩინე სიყვარული და მზრუნველობა ჩვენი წითელი არმიისა და წითელი ფლოტისადმი.

გაუმარჯოს წითელ დირექტორებსა და წითელ აგრონომებს—ჩვენი სახალხო მეურნეობის იმედს!

გზა ჩვენს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობას—მას თან მოაქვს ჩვენი ქვეყნის ბრწყინვალე მომავალი!

წითელი არმია და წითელი ფლოტი—ჩვენი ხმალი და ფარია. ეჩქარეთ მის დასახმარებლად!

შემოკრბით ოქტომბრის რევოლიუციის ხელმძღვანელის და დენიკინსა, კოლჩაკსა, ვრანგელსა და იუდენიჩზე გამარჯვების მომნიჭებელ—რ. კ. პ. გარშემო!

მთელი ქვეყნის პროლეტარებო! დადექით კომუნისტურ ინტერნაციონალის დროშის ქვეშ!

და მიზნები. მენშევიკურმა ხელისუფლებამ, რომლის ძირითად ამოცანას შეადგენდა კაპიტალისტურ მეურხეობის აღდგენა საქართველოში და ანტანტის ძალებთან მჭიდრო კავშირის გაბმა, ადგილი დაუთმო ახალ ძალას, ახალ ხელისუფლებას, ახალ პროგრამასა და პოლიტიკას. **ჩვენ მთელი ჩვენის ძალებითა და ორგანიზაციებით, პრინციპებით, იდეებით, პოლიტიკით ახალს ხელისუფლებასთან ვიყავით და ვიცავდით მისი განმტკიცების საჭიროებას. მაგრამ ახალი ხელისუფლების დაცვა, დახმარება და ახალი პროგრამის გატარება ჩვენ შეგვეძლო მაშინ მაქსიმალურად, როგორც დამოუკიდებულ პოლიტიკურ პარტიას.** ამას ითხოვდა მაშინდელი კონკრეტიული პირობები.

ერთი მთავარი ამოცანა ახალი ხელისუფლებისა გამოიხატებოდა ანტი საბჭოთა პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციათა გატეხვა და ფართო მშრომელი მასის საბჭოთა მშენებლობის პროცესში აქტიური ჩაბმვაში.

გადატრიალების დღიდანვე ჩვენში მომქმედი პოლიტიკური პარტიები ერთხმად დასდგენ ანტისაბჭოთა პლატფორმაზე და აშკარა ომი გამოუცხადეს ახალ ხელისუფლებას, როგორც პრესის, პროპაგანდის საშუალებით შინ და გარეგ, ისე იარაღით ხელშიაც. მშრომელი მასა, თანამედროვე ვითარებაში გაურკვეველი და მენშევიკების ხუთი წლის პროპაგანდით მოწამლული, უცბად ვერ გამოირკვა და ვერ მონახა საერთო ენა ახალს ხელისუფლებასთან. **ასეთს პირობებში დამოუკიდებელ პოლიტიკურ პარტიის არსებობას, იმ პარტიის, რომელიც საქართველოს სინამდვილის წიაღიდან იყო წარმოშობილი და მედგარი მებრძოლი ქართველი ერის ნაციონალური უფლებისა,—მეტად დიდი ხულის თამაში შეეძლო ჩვენში და ერთგვარ გზით და ხიდით გამხდარიყო მშრომელ მასასა და ხელისუფლების შორის.** მშრომელმა მასამ გიგო და მიხვდა, რომ მენშევიკებსა ტ მის მოკავშირეებს ალაპარაკებდათ, არა საქართველოს ინტერესები, არამედ დაკარგული პრესტიჟი და პარტიულთ ინტერესები, ხალხმა გაიგო და არსებითად შეითვისა ის ურყევი დებულება, რომ გზა ქართველ ხსნისა კომუნისტურ რევოლიუციასა და საბჭოთა წყობილებაში მარხია. ქართველი ხალხის ასეთს გამოღვიძებაში და მენშევიკურ დურმნისაგან განთავისუფლებაში ჩვენმა პარტიამ თავისი შესაფერისი როლი ითამაშა.

მაგრამ იყო მეორე მომენტიც, რომელიც მოითხოვდა ჩვენი პარტიის დამოუკიდებულად არსებობას. 1921 წლიდან ჩვენ ვიყავით ერთგვარ გარდამავალ პერიოდში, როდესაც ჯერ კიდევ ვერ იყო ჩამოყალიბებული ჩვენი ერის პოლიტიკური შენობა გარკვეულს ფორმებში და გამტკიცებული გარკვეული ურთიერთობა საბჭოთა რესპუბლიკებთან. პირველ შემთხვევაში, თუ ჩვენ საბჭოთა წყობილებისა და კომინტერნის ლოზუნგები შეგვქონდა ხალხში და ვაღვიძებდით მათ თვით შემეცნებას, მეორე შემთხვევაში თვით ხალხიდან მოგვქონდა ხელისუფლებასთან ჩვენი ხალხის ეროვნული მისწრაფებები და ის ფორმები, რომელშიაც უნდა განმტკიცებულიყო ურთიერთობა მეზობელ რესპუბლიკებთან. ეროვნულ პოლიტიკის წარმოებაში ჩვენ საკმაო კრიტიკა გაუწიეთ ახალ ხელისუფლებას და ამ კრიტიკული მეთოდით დავეხმარეთ საკითხის გამორკვევასა და ჩვენი ერის მდგომარეობის გარკვეული პოლიტიკურ ფორმებში ჩამოყალიბებას.

სამი წლის მოღვაწეობის შემდეგ საქართველოში პირობები საკმარისად შეიცვალა. ანტისაბჭოთა პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციები გადაწყდა. მშრომელი მასა ფაქტიურად დასდგა საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე და აქტიურად ჩაერია ახალი წყობილების მშენებლობაში, სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების დიდი კავშირის განმტკიცებით ჩვენი სახელმწიფოსა და ერის ცხოვრება გარკვეულ ფორმებში ჩამოყალიბდა. **ამგვარად თითქმის მოისპო ის პირობები. რომელიც ითხოვდა ჩვენგან დამოუკიდებლად არსებობასა და ამ გზით თანამშრომლობას კომპარტიასთან.**

დღევანდელი საშინაო და საგარეო მდგომარეობა ჩვენგან მოითხოვს კომპარტიასთან თანამშრომლობის ახალი ფორმების გამოძებნას, ახალ ორგანიზაციულს კავშირს. ჩვენ შეგვიძლია კომუნისტურ მშენებლობისა და კომინტერნის პლატფორმის ცხოვრებაში გატარება არა დამოუკიდებელი პარტიის გზით, არამედ მისი გიერთიანებით, შედულებით კომპარტიის რიგებთან.

ეს არის ერთი მთავარი პრინციპი, რომელიც უნდა განიხილოს და ამა თუ იმ სახით გადასწყვიტოს მომავალმა პარტიულმა ყრილობამ.

ს. ხ.

ᲠᲐᲚᲘᲛ-ᲓᲘᲐᲜᲔᲚᲘ

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

— სეპარატისტული მოძრაობა რეინში სუსტდება.

— ჰოლანდია აძლიერებს თავის საზღვრების დაცვას გერმანიის მხრით.

— კონფლიქტი ბავარიასთან ისევ გამწვავებულია

— პფანცი გამოცხადდა ავტონომიურ ერთეულად!

— საბერძნეთში მდგომარეობა მწვავდება.

— სპარსეთში გადადგა კაბინეთი.

— მთელს გერმანეთში მღელვარება ზრდება.

— სამრეწველო რაიონებში ხდება გაფიცვები, როგორც ეკონომიურ ნიადაგზედ, ისე საქსონიაზედ შეტევის საპროტესტოდ.

— რეინის დროებით მთავრობას მოლაპარაკება აქვს რეინის კომისიის თავმჯდომარესთან.

— რეინში სეპარატისტებმა კვლავ გააძლიერეს შეტევა.

— საფრანგეთი სცნობს დე-იურედ რეინის მთავრობას.

— გალიციაში გამოცხადდა რკინის გზელთა საერთო გაფიცვა.

„ზაკროსტას ცნობები“ 25 ოქტომბრიდან.“

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲛᲝᲫᲠᲐᲝᲑᲐ ᲠᲔᲘᲜᲨᲘ ᲡᲣᲡᲢᲓᲔᲑᲐ.

ინგლისის მიერ ოკუპაცია ქმნილ რაიონში წესიერებაა, რადგანაც ინგლისელებმა განაცხადეს, რომ იარაღით წინააღმდეგობას გაუწევენ სეპარატისტებს.

ფრანგები პირიქით მფარველობას უწევენ სეპარატისტებს. ბონში ფრანგებმა გარეკეს მუნიციპალიტეტის დამცველი პოლიციელები და შენობა სეპარატისტებმა დაიჭირეს. კელნში შესდგა რეინის რესპუბლიკის დროებითი მთავრობა დორტენისა, დეკერსისა და გუტხარის შემადგენლობით.

სეპარატისტთა მეთაურნი აცხადებენ რომ რეინის რესპუბლიკა უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი გერმანიისაგან და პრირეინის კომისიას ჰპირდებიან გადაუხადონ რეპარაციების ნაწილი. სეპარატისტულ ჯარებს დაერქვა რეინლანდვერი.

რეინში სეპარატისტული მოძრაობას დახვდა დიდი წინააღმდეგობა მცხოვრებთა მხრით, აახენში სეპარატისტები გამორეკეს დაწესებულებებიდან, რომელნიც უკვე გერმანიის მთავრობის ხელშია, ინგლიელებმა აახენში საალყო წესები გამოაცხადეს. ასევე გამორეკეს სეპარატისტები იუგლიხიდან და გლადბახიდან კობლენცი სეპარატისტებმა ჩაიგდეს ხელში, მაგრამ მალე გამორეკილი იქმნენ, საერთოდ სეპარატისტული მოძრაობა სუსტდება.

რეინის სეპარატისტთა მეთაურმა გუტარდტმა განაცხადა, რომ რეინის რესპუბლიკაში რურის ოლქიც შევა.

გერმანიაში შექმნილ მდგომარეობის გამო, ჰოლლანდიამ გააძლიერა თავისი საზღვრის დაცვა, გერმანიის მხრით.

რეიხსვერის გადაჯგუფება საქსონიაში დამთავრდა, მან დაიჭირა 2 უმთავრესი რკინის გზის ბაზი. ჯარებმა ბრძანება მიიღეს მზად იყვნენ ბრძოლისათვის.

კონფლიქტი ბავარიასთან უფრო მწვავდ ოთხშაბათს შესდგება რეიხსრატის სხდომა კონფ ქტის მოსაგვარებლად.

შტრეზემანი, ეტყობა, ბავარიასთან ... ვოს ბავარიის ავტონომია, ოლონო ... ი კონფლიქ მოგვარდეს.

ოფიციალური ცნობებით, ბავარიის მთავრობა ფიქრობს, რომ რეიხსრატი უნდა დაკმაყოფილდეს მდგომარეობის გაუქებით, ხოლო, თუ რეიხსრატი რაიმე დადგენილებას გამოიტანს, იგი ა იქნება ბავარიისათვის სავალდებულო.

შპეიერიდან მიღებულ ცნობებით, 24 ოქტო ბერს საოლქო კრებაზედ რეიხლანდის კომისი წარმომადგენელმა პფალცში, მაიორმა ლუისმ პფალცი გამოაცხადა ავტონომიურ სახელმწიფოდ დროებითი მთავრობით სათავეში, ლუისის სიტყვ ბით, ეს საქმე გამოწვეულია ბავარიაში შექმნ გართულებულ მდგომარეობის გამო.

ბავარიის ოლქი პფანცი ადგილობრივ სოც. დემოკრატების მიერ გამოცხადებულია ცალკე ა ტონომიად. პფანცის საბჭოს თავმჯდომარემ აცნ ბა, რომ გერმანეთისა და ბავარიის მთავრობ ახალ სახელმწიფოს დაარსებას სთვლიან სახელ მწიფოებრივ ღალატად.

შტრეზემანი გაემგზავრა ვესტფალში პოლ ტიკურ პარტიების წარმომადგენლებთან ოკუპაცი ქმნილ ოლქში შექმნილ მდგომარეობის შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ გამგზავრებას დიდ მნიშ ვნელობას აძლევენ, რადგანაც, როგორც ხმები და დის, იგი დაკავშირებულია მთავრობის გადაწყვეტილებასთან, გამოაცხადოს რური—რეინის ავტონომიური რესპუბლიკა გერმანეთის ფარგლებში.

მთელს გერმანეთში ხდება გაფიცვები და უმუშევართა მღელვარება.

შუა—გერმანიის ნახშირთან რაიონში—სამთომადნო მუშების საერთო გაფიცვაა.

ბრაუნშვეიგის ნახშირიან რაიონში დაარბიეს პურისა და სურსათის სავაჭროები. კასელში სავაჭროების დარბევის დროს მოხდა პოლიციასთან შეტაკება, რომელსაც მოჰყვა ბევრის დაჭრა. შტეტინში „ვერფის“ ადმინისტრაციამ მუშებს გამოუცხადეს ლოკაუტი, მუშებმა დაიჭირეს „ვერფი“, მაგრამ პოლიციამ უკუაგდო.

ფულის ნიშნების ნაკლებობის გამო, ბერლინში უმუშევრებს მოესპოთ დახმარების მიცემა. პურგირვანქა ღირს 3 მილიარდი მარკა. დარბეული 60 პურისა და ხორცის სავაჭრო. დაპატიმრებული ბევრი

ჰამბურგში ბრძოლა გრძელდება. შაფბეკის უბანში მუშებმა ნამდვილი თხრილები მოაწყეს ფროფკავშირთა კომისიამ, რომელსაც გამუდმებულ სხდომები აქვს, მიმართა კომპარტიასა და სოც. დემოკრატებს წინადადებით, რათა მათ მიმართონ სრულიად გერმანიის პროფ-კავშირთა კომისიას წინადადებით, მოსპოს ბრძოლა და გამოაცხადოს საპროტესტო გაფიცვა. კომპარტიამ წინადადება

ᲡᲐᲓᲦᲔᲘᲡᲝ ᲛᲣᲡᲐᲘᲤᲘ.

10.

(დასასრული)

საქმე ის არის, რომ ბურჟუაზიის მადის დაკმაყოფილება ბიუროკრატიამ ვერ მოახერხა. ახლო აღმოსავლეთში მან ფეხი ვერ შესდგა და ბურჟუაზიას დარდახელი ვერ გაეღო. ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოებში, სლოვიანებში, ბურჟუაზიის საქონელი ვერ გაჭაჭანდა. ეს გარემოება ძალიან აღონებდა ბურჟუაზიას. ეს ბურჟუაზია აღფრთოვანდა, რუსეთ იაპონიის ომის დროს. მაგრამ ეს აღფრთოვანებაც გაქრა სიზმარებრ ქრა, რადგან რუსეთმა ეს ომი წააგო და ბურჟუაზია ვეღარ შეიჭრა წყნარ ოკეანეში და ვეღარ იწყო ფარფაში ამ ოკეანეს სივრცეზე. ამან სრულებით გული გაუტეხა ბურჟუაზიას ბიუროკრატიაზე. ბურჟუაზია კი ძალზე დაინტერესებული იყო, რომ გარეშე ბაზარი მოეპოვებია. მას უნდოდა, რომ ადგილობრივი მკვიდრი და დაპყრობილი ერები ეყვლეფა, ეძარცვა და ძლიერი ექსპლოატაციის პრესის ქვეშ გაეტარებია. ასედაც იქცეოდა. მაგრამ ამას ის შედეგი მოქონდა, რომ ყიდვის უნარი ადგილობრივ მკვიდრს თანდათან უმცირდებოდა. ამიტომ ბურჟუაზიის საქონელი იმდენი ვეღარ ვრცელდებოდა. ბურჟუაზია კი მეტს მოიგებს, თუ მეტ საქონელს ანაღდებს და აბანდებს. ამიტომ მას უნდოდა ქონოდა გარეშე ბაზარიც. გარეშე ბაზარი კიდევ მეტ საშუალებას მისცემდა, რომ შინაური ბაზარი მუდამ მშიერი ყოლოდა, ამიტომ ადგილობრივი მკვიდრი მუდამ იმის ხელის ფასის მოლოდინე და შემყურე ყოფილიყო; საქონელს კი იგი გარეშე ბაზარზე გაახაღდებდა კიდევ უფრო სასარგებლოსა და მოსაგებ პირობებში. ამიტომ გადაჭრილი მოთხოვნილება იყო ბურჟუაზიისა ბიუროკრატიას იმისთვის გარეშე ბაზარი უნდა მოეპოვებია. ბიუროკრატიაც ამის ცდაში იყო. მაგრამ მან წააგო ეს ცდა ახლო აღმოსავლეთში, წააგო შორეულ აღმოსავლეთშიც. დადგა ჟამი სრულიად ევროპის ომისა, ბიუროკრატია უყოყმანოთ ჩაერია ამ ომში, რადგან ეს იყო უკანასკნელი და გადამწყვეტი პირობა, რომ ბურჟუაზიის მადა დაეკმაყოფილებია და იგი სამუდამოთ ერთგული გაეხადა. ბურჟუაზია გადაჭრით მოითხოვდა ამ ომში ჩარევას, რადგან იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის ბიუროკრატია ძლიერია, ამიტომ იგი ამ ომში გაიმარჯვებს და დიდ ნადავლსა და ნაზუქებს მიიღებს, რომელს ფაქტიურად ბურჟუაზია მიისაკუთრებდა და დაეპატრონებოდა. ეს რომ ასეა, ამას ის ადასტურებს, რომ ომის პროცესის დროს ბიუროკრატიას სურდა სეპარატიული ზავის შეკვრა, რადგან ეს იმისთვის ერთად ერთი გამოსავალი იყო და რადგან ამას ამ პროცესის დროს გადაჭრით მოითხოვდენ უკიდურესი რეაქციონერები (თავად აზნაურობა), რადგან ეს უკანასკნელნი ცხადათ ხედავდენ, რომ უკვე უფსკრულის ნაპირზე იყო მიმდგარი ბიუროკრატია და ყოველი ის, ვინც ამ ბიუროკრატიასთან დაკავშირებული იყო. მაგრამ ბიუროკრატიამ სეპარატიული ზავის ჩამოგდება ვერც მოახერხა, ვერც გაბედა, რადგან ამის წინააღმდეგი იყო ბურჟუაზია.

11.

ცხადია, რევოლიუციის წინა დღეებში უკვე უმაყოფილების ფიალა აღვსილი იყო და ყოველ კლასი, ყოველი ეროვნება კბილებს აკრაჭუნებდა ბიუროკრატიაზე. იფეთქა რევოლიუციამ და მან თვალის დახამხამების განმავლობაში ბიუროკრატია მიწას დაანარცხა, რადგან ერთსულოვანი იყო აღშფოთება და აღფრთოვანებაც ყოველი კლასისა და ყოველი ეროვნებისა.

ამ აღფრთოვანებაში გატარდა რამდენიმე თვე რევოლიუციისა; ასე წოდებული გაზაფხული ამ გადატეხილების ხანისა. ბურჟუაზიამ ჩაიგდო ხელისუფლობა. მაგრამ ამ გაზაფხულის მთელი მხიარულება და აკისკისება დაანაღვლა და დაასევდიანა სამი ივლისის გამოსვლამ ბოლშევიკებისამ. ეს გამოსვლა პირველი გაფრთხილება იყო და გამოძახილი, რომ „რევოლიუციის გაზაფხული“ გათავდა, გაერთიანებული ფრონტი ბიუროკრატიის წინააღმდეგ გაირღვა და იწყება სამკვდრო სასიცოცხლო შებრძოლება კლასებისა. ამავე დროს ცალკე ეროვნებანიც გათიშვისა და გამოყოფის მოსურნენი შეიქნენ, რადგან ბურჟუაზიამ მას მხოლოდ მოქალაქის უფლების მინიჭება აღუთქვა, და არა ეროვნული ჩაგვრის მოსპობა. ფინლიანდიასა და უკრაინას ბურჟუაზიამ მუჭი მიუღირა და ცივი ტყვიებით გამასპინძლება დაემუქრა. ამიტომ ცალკე ერებმა მოითხოვეს დაშლა ერთიანი არმიისა და შექმნა ნაციონალური პოლკებისა, რომელნიც თვის სამშობლოში უნდა დაბრუნებულიყვნენ და დაბინავებულ იყვენ. მაშასადამე, შეიქნა პირობა ახალი დაშლისა და გადაჯგუფებისა. ერთი მხრით გამოსვლები ან ორგანიზაციული მოქმედება მუშათა და გლეხთა ბურჟუაზიული ხელისუფლების წინააღმდეგ და მარაგი და ცდა ცალკე ერებისა გამოთიშვისა და გამოყოფისათვის. ამავე დროს მთელი შეიარაღებული ძალა უმთავრესათ შემდგარი იყო მუშებისა და გლეხებისაგან, და მშრომელი ინტელიგენციისაგან.

ესენი უკვე მოღლილი იყვნენ უშედეგო ომით. ამიტომ შინ დაბრუნებას ისწრაფოდენ და გატაცებულნი იყვნენ ჩაერეოდენ რევოლიუციის ახალ პროცესს. ამ დროს კი, სულიერთა ასე განწყობილთ ხელისუფლებამ უბრძანა. შეტევაზე გიდადიო. ამან სრულებით დაშალა ძლიერება და ერთიანობა ბურჟუაზიის ხელისუფლებისა. არმია შეტევაზე აღარ გადავიდა, ფრონტზე მოიხსნა და შინისაკენ გამოექანა. სხვა და სხვა ერების მეომრებმაც თავის სამშოლოსაკენ იწყეს დენა. ამ ორგვარმა მოვლენამ სრულებით გამოაშკარავა შემდეგი პროცესის ხასიათი და მიდრეკილება ცხადი იყო, რომ ახალი ხანა დაიწყო რევოლიუციის წიაღში. ეს რევოლიუცია უნდა ყოფილიყო სოციალური და ამავე დროს ეროვნებათა განმათავისუფლებელი.

12.

ჩვენ ვიცით და წინა წერილებშიც მაქვს აღნიშნული, რომ ახლანდელი რევოლიუცია, სადაც არ უნდა ეჩინა მას თავი, უნდა სოციალური ყოფილიყო, რადგან პოლიტიკური რევოლიუციების ხანამ დრო მოჭამა და გათავდა. ეს რევოლიუცია რუსეთში კი მით უფრო უნდა ყოფილიყო ცდა სოციალური რევოლიუციის დასაწყისისა, რომ მომქმედი ძალები ამ რევოლიუციისა თავ-მოყრილი იყო არმიაში, იგი ძალები გაერთიანებული იყო და ამასთანავე შეიარაღებული. ამ არმიის ოთხი მეხუთედის შემადგენლობა იყო გლეხი, მუშა და მშრომელი იხტელიგენცია. ცხადი იყო რომ ეს შიარაღებული და გაერთიანებული ძალა თვისი მიზნების განხორციელებას შეუდგებოდა. ასეც მოხდა და ეს ძალა უყოყმანოდ მიეკედლა ბოლშევიკებს, რადგან იმ ხანად მხოლოდ ბოლშევიკები აქეზებდენ მას ამ მიზნების განხორციელებისაკენ.

ამ რევოლიუციის მიმდინარეობამ ცხადათ დაამტკიცა, რომ სოციალ დემოკრატების (მენშევიკების) აზრი, რომ რევოლიუცია სოციალური მთელ ევროპაში ერთბაშად იჩენს თავს, ან ყოველ შემთხვევაში ინ ქვეყანაში, სადაც კაპიტალიზმის კონცეტრაცია და აკუმულაცია არის უაღრესად მიღწეული და სადაც ხალხის უმრავლესობა გატარებულია პროლეტარიზაციის ცეცხლში, შემცდარი და ტყუილი იყო. სოციალური რევოლიუცია გაჩაღდა, პირიქით, სწორედ იქ, სადაც სუსტი იყო კაპიტალიზმი და სადაც ნაკლებად იყო გატარებული კონცეტრაცია კაპიტალისა და პროლეტარიზაცია ძალისა. ამიტომ სადაც სუსტი იყო მთურგნავი და მოწინააღმდეგე ძალები რევოლიუციისა, მაგრამ ამავე დროს სადაც ძლიერი იყო შეგნება, ორგანიზაციულად შეკავშირება და შეიარაღება რევოლიუციონური ძალებისა. სწორედ ასედაც იყო რუსეთში. აქ კაპიტალიზმი სუსტად იყო განვითარებული. ამიტომ სუსტი იყო ბურჟუაზია ადგილობრივი. ძლიერი იყო მხოლოდ უცხოური ბურჟუაზია, რომელიც რევოლიუციის გაჩაღებისთანავე უკუ-იქცა მეტროპოლიისაკენ და მოხერხება არ ქონდა რევოლიუციის მთურგნავ ძალათ გამოსულიყო პირველ ხანებში, რადგან იცოდა, რომ მის ნივთიერ ძალაუფლებას გაუნადგებდა მეტროპოლიის ხელისუფლება, რომელიც იმ ხანად გართული იყო გერმანიასთან ომში და რომელსაც იმ ხანად არ სცალოდა, გამოქომაგებოდა თავის ბურჟუაზიას, რუსეთიდან ეკსორია ნაქნარს.

უტყუარი დებულებაა აგრეთვე და ეს ამ რევოლიუციამ აშკარათ დაამტკიცა, თუმცა სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) არ სჯეროდათ იგი დებულება, რომ ყოველი ახალი პოლიტიკური და სოციალისტური მოვლენა პირველათ თავს იჩენს ერთ რომელსამე ადგილზე, სადაც ამისათვის უფრო დამხმარე პირობებია, აქ აღორძინდება, გაძლიერდება, გამაგრდება და გამტკიცდება. მხოლოდ ამას შემდეგ ეს ახალი სოციალური და პოლიტიკური მოვლენა ცენტრათ შეიქნება და აქიდან დენას ირგვლივ დაიწყებს ახალი სხივები გავლენისა და ზედ-მოქმედებისა. აქიდან იგი მოვლენა თანდათან შეიჭრება სხვა ადგილებში მიმბაძველობით და, რასაკვირველია, ამავე ცენტრის გავლენითა და წაქეზებით. ეს უტყუარი სოციალური კანონი ახლა კიდევ შეამოწმა ამ რევოლიუციამ და იგი კანონი მან ერთხელ კიდევ დაამტკიცა.

ზევით თითქმის სათითოოთ ჩამოვთვალეთ ყოველა ის ფაქტორი, რომელიც ხელს უწყობდა რუსეთში სოციალური რევოლიუციის გაჩაღებას. ამ ფაქტორებს მიუცილებლათ უნდა გამოეწვია ეს პროცესი აქ ასიც უნდა დავამატო, რომ რუსი ხალხი ახალგაზრდა ხალხია, ისტორიის პროცესში იგი გამობრძმედებული არ არის, მას იმდენი ორომტ-იალი და ცვალებადობა არ განუცდია და არც აუტანია, როგორც ეს გადიტანა ევროპის სხვა ხალხებმა. გ. ბრანდესმა ერთხელ ივ. სერ. ტურგენევს უთხრა: დამეთანხმეთ, რომ რომის ერთი ფუტის ოდენა ადგილს და მიდამოს უფრო მეტი ისტორია აქვს, ვიდრე რუსეთის იმპერიის მთელ სივრცესო. ეს აზრი სრულებით სიმართლის აღმნიშვნელია. ამიტომ ასეთი ხალხი აღტყინებისა და აზვირთების ჟამს თამამი და გაბედულია.

გბრდა ამისა სრულიად ევროპის ომიანობის დროს შეიქნა ისეთი ვითარება, რომ აგუგუნებულ რევოლიუციას საშვალება მიეცა მეტი სიღრმითა და სიძლიერით განვითარებულ იყო. ჩვენ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ ოქტომბრის გადატრიალების დროს ევროპის სახელმწიფოთა შორის ომი რომ დასრულებული ყოფილიყო, რუსეთის რევოლიუცია ევროპის ბურჟუაზიის მიერ ჩაკლული და ჩამღრჩვალი იქნებოდა თავის ჩენისთანავე თუ არა, 1918 წ. განმავლობაში მაინც. ამის მაგალითები ზევით აღვნიშნე და ეს მაგალითები ასაბუთებენ

უარჰყო და განუცხადა, რომ კომუნისტები ანგარიშს უწევენ ხემნიცის კომისიას და არ უნდათ დაქსაქსონ პროლეტარიატის ძალები.

მთელ რიგ სამრეწველო რაიონებში ხდება ხაწილობრივი გაფიცვები, როგორც ეკონომიური ხასიათისა, ისე საქსონიაზედ შეტევის საპროტესტოდ. პროფკავშირებმა და პროლეტარულმა პარტიებმა გამოაცხადეს საერთო გაფიცვა, რათა ამით აიძულონ შეაჩერონ საქსონიაზედ შეტევა. კომფრაქცია მუშებს მოუწოდებს ერიდნენ რეიხსვერის ჯარის კაცებთან შეტაკებას და მიმართავს ჯარის კაცებს მოწოდებით, დაიცვან მათ საქსონია ბავარიის მხრით მოსალოდნელ თავდასხმისაგან.

„როტე ფანეს“ სტამბა, რომელიც დაბეჭდილი იყო, კვლავ გახსნეს. ჰეიბერი და სხვა დატუსაღებული კომუნისტები განთავისუფლებულია.

ბავარიასთან კონფლიქტის განსახილველად დანიშნული რეიხსტაგის სხდომა გადაიდო. მის მაგივრად შესდგა ცალკე სახელმწიფოების პრემიერთა თათბირი. შედეგი თათბირისა ჯერ გამოურკვეველია.

ინგლისის დამოკიდებულება სეპარატისტებთან მტრულია. ფრანგები და ბელგიელები ოფიციალურად იცავენ ნეიტრალიტეტს, მაგრამ ბევრ ადგილას პოლიციას იარაღს ჰყრიან და ამრიგად მხარს უჭერენ სეპარატისტებს. რეინის დროებითი მთავრობა შეუდგა მოლაპარაკებას რეინის საკავშირთაშორისო კომისიის თავმჯდომარე—ტირართან და ჰპირდება მას ვერსალის ხელშეკრულების შესრულებას. სეპარატისტები თავის მოქმედებაში მიმართავენ ტერორს, დატუსაღებას, ცენზურას და გაზეთების დახურვას. კომპარტიის რეინის ორგანიზაციები მოუწოდებენ მცხოვრებთ ებრძოლონ სეპარატისტებს საერთო გაფიცვის საშუალებით.

პრესის მიმოხილვა

„ოქტომბრის წლის თავი და გერმანიის რევოლიუცია“

აღნიშნული სათაურით მოსკოვის „პრავდა“ სწერს:

„ოქტმბრის 6 წლის თავი სრულდება მაშინ, როდესაც იწყება სამოქალაქო ომი გერმანიაში, სადაც ისტორიამ დღიურ წესრიგში დააყენა ხიშტი, თოფი და ტყვიის-მფრქვეველი. მენშევიკებისა და ებერტისათვის საყვარელი „დემოკრატიული რესპუბლიკა“ თავის ლოზუნგს „ძმობა, ერთობა, თავისუფლება“-ს სცვლის მეორე ლოზუნგზედ „არტილერია, ინფანტერია და კავალერია“.

ოქტომბრის მე-6 წლის თავი—დასაწყისია ოქტომბრის დღეებისა დასავლეთ ევროპის ცენტრში. ამ დღესასწაულს შეუერთდება გერმანიის პროლეტარიატის ბრძოლის ყიჟინა. ამისათვის ჩვენი ოქტომბრის დღესასწაულის საერთაშორისო მნიშვნელობა გაცილებით მეტად უნდა აღინიშნოს ეხლა, ვიდრე ეს როდისმე ყოფილა. ოქტომბრის ბა

ხასიათს ბურჟუაზიისას, რომ იგი ასეთი განსაცდელის დროს როდი შეყურებს გულ-ხელ დაკრეფილი ასეთ ვითარებას. არა, იგი აქტივობას იჩენს და მაშინვე იღებს ზომებს, რომ ასეთი რევოლიუციების განვითარება შეაჩეროს, გაანელოს და სრულებითაც მოსპოს. იგი ცდილობს ასეთი რევოლიუციების ცდას მისცეს ხასიათი წმინდა პოლიტიკური და სოციალური გადატეხილების ელფერი სრულებით ჩამოაცალოს. მაგრამ ეს ვერ ქნა და ვერ მოახერხა ევროპის ბურჟუაზიულმა სახელმწიფოებმა, რადგან რუსეთის რევოლიუციის გაღრმავებისა და გაძლიერების პროცესის დროს, იგი სახელმწიფონი გართული იყვნენ ომით და მთელი მათი ძალი და ღონე ფიზიკური, ტეხნიკური და ფინანსიური ამ ომს უნდებოდა. ამიტომ ამ რევოლიუციის შეჩერება, შენელება და გადასხვაფერება ამ სახელმწიფოებმა ვერ შესძლეს. ამ ხნის განმავლობაში კი რევოლიუცია გაძლიერდა, გაღრმავდა და ორგანიზაციულათ ჩამოყალიბდა. ამიტომ დაგვიანებული ცდები იმის ჩაღრჩობისა დღეს მიზანშეწონილი შეიქნა და ვერც განხორციელდება იგი ცდები.

ერთი გარემოებაც ძალიან ხელის შემწყობი იყო რუსეთის რევოლიუციის გაღრმავებისა და ძლიერებისათვის. ეს ის გარემოებაა, რომ რუსეთი წმინდა მეურნეობის ქვეყანა იყო და არის. სამეურნეო ქვეყანა და სახელმწიფო გამძლე და ბევრის ამტანია. ამიტომ ასეთ ქვეყანას შეუძლია ასეთი დიდი გადატეხილობის ხანგრძლივი პროცესი გადიტანოს. საფრანგეთში, ან ინგლისში, ან ევროპის სხვა სახელმწიფოში, გარდა ამერიკის შეერთებული შტატებისა, რომ თავი ეჩინა სოციალურ რევოლიუციას და ამ უკანასკნელს ასეთი ხანგრძლივი და ცვალებადი ხასიათი მიეღო, როგორიც მიიღო და განიცადა რუსეთის გადატეხილობამ, დარწმუნებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ იქ ეს პროცესი ამდენს ხანს ვერ გასტანდა და იგი ჩაიშლებოდა, მოისპობოდა, ან ყოველ შემთხვევაში დანელდებოდა და გადასხვაფერდებოდა და ვერ მიაღწევდა დამთავრებას ამ პროცესისას, რადგან ევროპის ვერც ერთი სახელმწიფო, ვერც ერთი ერი ვერ გადაიტანდა ამდენი ხნის ბლოკადასა და ინტერვენციების საშიშროებას: ხალხი შიმშილით ამოიხოცებოდა. რუსეთმა კი აიტანა, რადგან იგი სამეურნეო ქვეყანა იყო. ამ ხნის განმავლობაში კი იგი რევოლიუცია მოლონიერდა, გამაგრდა, გაღრმავდა და ორგანიზაციულად ჩამოყალიბდა. ახლა მას ისე ადვილათ და იოლათ ვერც ვერვინ და ვერც ვერავითარი ძალა ვერც შეანელებს, ვერც ჩააჭრობს და ვერც გადაასხვაფერებს, ამ ჟამად იგი რევოლიუცია დაადგა გზას წმიდა ევოლიუციონურს და განვითარება იმის ამ ჟამათ სრულებით ექვემდებარება

რიკადებზე მიმავალი ჩვენი პარტია თავის თავს სთვლიდა საერთაშორისო რევოლიუციის აღმგზნებად და მისი პროგნოზი სრულიად მართალი გამოდგა. ჩვენი რევოლიუციის მე-6 წლის თავზედ საიერიშოდ გამზადებული დასავლეთ-ევროპის პროლეტარიატის რიგებში უფრო და უფრო გვიახლოვდებიან.

ეს დღეები ჩვენს ქვეყანას მეტად დიდ ამოცანას უყენებენ წინ. გართულებულ ამბების მორევს შეუძლიან ჩაითრიოს ევროპა, მთელი ქვეყანა და ჩვენი კავშირი. ჩვენ უნდა მოვეჭიდოთ ყოველ შესაძლებლობას მშვიდობიანობის დასაცავად, მაგრამ ჩვენ მზად უნდა ვიყვნეთ უარესისათვისაც. ამისათვის ჩვენ ვალდებულნი ვართ ერთი ათად განვამტკიცოთ ის საძირკველი, რომლითაც არის მძლე საბჭოთა ქვეყანა—მუშათა და გლეხთა კავშირი.

მას ჯერ კიდევ სჯიჯგნის „მაკრატელი“, მას ჯერ კიდევ გამუდმებული შეკეთება ესაჭიროება. ოქტომბრის რევოლიუციის დღე უნდა იყოს დღე შეერთებისა, დღე მუშათა და გლეხთა კავშირის დღესასწაულისა, იმ კავშირისა, რომელიც საშიშ ძალად უდგა წინ მემამულეებისა და კაპიტალისტების კავშირს.

მთელი ქვეყანა ირღვევა ცალკე ნაწილებად. ჩვენ კი ყოველ ნაბიჯზედ ვერთიანდებით ასეულ ერების ნებაყოფლობით კავშირში. ჩვენი საბჭოთა რესპუბლიკების კავშირიც იდღესასწაულებს თავის იუბილეს, რადგანაც იგი დაიბადა ოქტომბრის დღეებში.

არა მხიარული სეირნობა და დროს გატარება იქნება წლევანდელი ოქტომბრის დღესასწაული. ეს დღე იქნება ჩვენი ძალების დემოსტრაცია და დათვალიერება. დაე, დაინახონ ჩვენმა მტრებმა, რომ კი არ დაგვინოტიოვდა წამალი, არამედ გაშრა; რომ მუშათა და გლეხთა მასები თავის ინტერესების სადარაჯოზე სდგანან და მზად არიან სასტიკად ეკვეთნენ ყველას, ვინც შეეცდება წაართვას მას მოპოვებული მშვიდობიანი შრომა“.

უცხოეთი

ვენა. საბერძნეთში პოლიტიკური მდგომარეობა მეტად განწყვავდა. მილებული ცნობებით, აჯანყდნენ პატრასისა, ხალკისა, ვერიისა და სხვა ქალაქების მეცხოვნე ჯარები. მოძრაობას ხელმძღვანელობს რეაქციონერი—გენერალი მეტაკსასი, რომელიც ამ ბოლო დროს პირდაპირ ემუქრებოდა რევოლიუციონურ მთავრობას. კონსერვატიულმა პარტიამ წინადადება მისცა მეფეს ისარგებლოს თავის კონსტიტუციონალურ უფლებებით და გაანთავისუფლოს საბერძნეთი რეაქციონერებისაგან.

მეორეს მხრით, გონატასის მთავრობის წინააღმდეგ გამოდის ჯარში პოპულიარული, მაკედონიის ვენიზელისტების ხელმძღვანელი, გენერალი პანგალოსი. როგორც ხმები დადის, პანგალოსმა ჯარის მაღალ თანამდებობის პირთ მიმართა წინადადებით, ჩამოაგდონ გონატასის მთავრობა.

ევოლიუციის კანონებს. ამიტომ ეს რევოლიუცია განმტკიცებულია და აწი იგი იმდინარეებს გარკვეული და საღი ნაბიჯით. ჩვენ ახლა მოწმენი ვართ, რომ ასეთი ხასიათი ამჩნევია და მიეცა. სწორედ ამიტომაც დღეს ამ რევოლიუციას. უკვე ურიგდებიან სხვა ბურჟუაზიული სახელმწიფონი და რუსეთთან საქმიან კავშირს იჭერენ. ჩვენ შეგვიძლია მივულოცოთ რევოლიუციას ეს გამარჯვება და ბეჯითათ ვთქვათ: fortes fortuna iuvat (მხნეს ბედიც კი შველის).

რუსეთის რევოლიუცია, აგერ ექვსი წელიწადია, ჩვენი თვალის წინ გადაიშალა და მან დღეს მიიღო გარკვეული ხასიათი და ახალი მიზნებიც დაისახა. ჩვენ პირადათ გვჯერა და დარწმუნებული ვართ, რომ ამ რევოლიუციამ უკვე გაიმარჯვა და აღარ არის ძალა, რომელმაც იგი ან შეაფერხოს ან მოსპოს. ეს არა თუ ახლა გვჯერა. ჩვენ იმ თავიდანვე ამაში დარწმუნებული ვიყავით. და ასეთი შეხედულება ამ რევოლიუციის შესახებ, გამოქვეყნებული მაქვს 1917 წ. აპრილსა და 1918 წ. თებერვალში გაზ. „ჩვენი მეგობარსა“ და „ხალხის მეგობარში“.

დასკვნა.

რუსეთის რევოლიუციის ლოკალიზაცია მოხდა რადგან მას მხარი ვერ დაუჭირა და ძლიერათ ვერც გამოეხმაურა ევროპის პროლეტარიატი და მშრომელი მასა. ამას თავის მიზეზი ძირითადი და მიუცილებელი ქონდა. მაგრამ ეს შემდეგი წერილისთვის უნდა გადავდოთ. რუსეთის რევოლიუცია გამაგრდა და გამტკიცდა რუსეთის ყოფილი იმპერიის ვრცელ ტერიტორიაზე. მას ვეღარ ვნებს გარეშე ძალა, რადგან ეს რევოლიუცია უკვე ჩამოყალიბებული და ძლიერია. მას საშიშროებას ვეღარ უქადის შინაური მოწინააღმდეგე ძალა, რადგან ეს ძალა დაუძლურებული, დაშლილი, სრულებით დათრგვნილი და მოსპობილია. ამიტომ რუსეთის რევოლიუცია მტკიცეთ დაადგა გზას წმინდა ევოლიუციისას. ამიტომ რუსეთის რევოლიუცია შეიქნა დიდ ფოკუსად, ხაიდანაც გამოკიაფობს ძლიერი და ცხოველმყოფი სხივები ახალი ცხოვრებისა და ახალი სამართლიანობისა და ეს სხივები ადრე და მალე გაათბობენ, გაალხობენ ციესა და დაზრულ გულს ევროპის მუშებისა და მშრომელი მასისას და ამათ მეოხებით სოციალური რევოლიუცია დიდი მაშტაბით გაჩაღდება. მაგრამ ეს უკანასკნელი იქნება შედეგი მხოლოდ მომბაძველობისა და წაქეზებისა. ამ ჟამათ ჩვენ სწორეთ ამ პროცესის დასაწყისის მოწმენი ვართ.

ი. ფანცხავა.

ცნობები საბერძნეთის მდგომარეობის შესახებ მეტად მცირეა, პირდაპირი კავშირის შეწყვეტის გამო.

თეირანი. (სპარსეთი) მუხირ-დოვლეს კაბინეთი გადადგა.

ლონდონი. „ივნინგ სტანდარტი“-ს ცნობით მოკავშირეთა შორის სწარმოებს მოლაპარაკება დეკემბერში, პარიზში, ყველა ვერსალის ხელშეკრულებაზედ ხელის მომწერ სახელმწიფოების კონფერენციის მოწვევის შესახებ.

ლონდონი. მთელი რიგი მუშათა პარტიის ორგანიზაციებისა და პროფკავშირებისა წინადადებას აძლევს მუშათა პარტიის აღმასკომს, მოიწვიოს კონფერენცია გერმანიის პროლეტარიატისათვის დახმარების აღმოსაჩენად ზომების გამოსანახავად.

ვარშავა. (პოლონეთი) პეპეესოველმა დიამანდმა სეიმში განაცხადა, რომ ვიტოსმა წინადადება მისცა ოპოზიციას, შექმნას ახალი კაბინეთი, რაზედაც ოპოზიციამ უარი სთქვა. პოლონეთის დეპეშათა სააგენტო უარსჰყოფს დიამანდის ცნობას და ადასტურებს, რომ სეიდას შეცვლა დროებით თანქმის გადაწყვეტილია.

— **თეირანი** (სპარსეთი) ახალ კოალიციურ მთავრობაში ასახელებენ: საგარეო საქმეთა მინისტრად — სულეიმან მირზა და ტაბა ტაბაი, რომელიც ებრძვის—ადლობოლი და დემოკრატიული—ტედა კონი, სამხედრო პარტიიდან—ხუდოიარ-ხანი და ეხტეხამოხ-სულთანი.

ანგორა. ანგორაში ჩამოვიდნენ ინგლისელი ფინანსისტები ფაბრკისა და რკინის გზების ასაშენებლად კონცესიების შესახებ მოსალაპარაკებლად.

რომი (იტალეთი). რკინის გზელთა პროფკავშირის ნაციონალურმა კონფერენციამ 42 ხმის უმრავლესობით, 8 წინააღმდეგ, დაადგინა შეუერთდეს გენერალურ კონფედერაციას.

ვარშავა. კრაკოვის რკინის გზელთა გაფიცვა ლვოვსა, პერემიშლსა და გალიციის სხვა ქალაქებშიაც გადავიდა. ოთხშაბათს კრაკოვში შემდგარმა რკინისგზელთა კრებამ მემანქანეთა პროფკავშირის ყვითელი მმართველობის ნების წინააღმდეგ გამოაცხადა მთელს გალიციაში საერთო გაფიცვა.

ახალი ამბები

— **ხრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის წევრთა წლიური კონფერენცია.** დღეს ხელოვნების სასახლეში (სერგიევის ქ. № 13) იხსნება სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის მორიგი წლიური კონფერენცია. წევრები მწერალთა კავშირისა შეიკრიბებიან საღამოს 6 საათზე.

— **სასტუმროების ხაცხოვრებელ ბინებათ გადაკეთება.** აღმასკომის პრეზიდიუმმა დადგინა სასტუმროები: „ევერია“, „კახეთი“. „სამტრედია“, „ზვეზდა“, „ისლამია“ „ბომონდი“ და „ბორჯომი“ გადაკეთებული იქნეს საცხოვრებელ ბინებათ.

— **ბერლინის პროლეტარიატისათვის დროშის დამზადება.** ქალ. აღმასკომმა დაადგინა: მიღებული იქნეს მონაწილეობა ბერლინის პროლეტარიატის დროშის დამზადებაში ტფილისის კომიტეტთან და ს. პ. კ. საბჭოსთან ერთად.

— **აგრარულ რეფორმის გამორკვევა ტფ. მაზრაში.** ქ. აღმასკომის პრეზიდიუმმა დაავალა უკვე გამოყოფილ კომისიას, აგრარულ რეფორმის გამორკვევი ტფილისის მაზრაში.

— **უმაღლესი ჯილდო მოსკოვის სახოფლო სამეურნეო გამოფენაზე საქართველოს პავილონსაც ერგო.** მოსკოვის სასოფლო-სამეურნეო გამოფენის დახურვის წინ საგანგებო კომისიის დადგენილებით სამ უმაღლეს ჯილდოდან ერთი ჯილდო ერგო საქართველოს პავილიონს, ორი ჯილდო კი რუსეთის ცენტრალურ პავილიონებს.

— **პირველი ჯილდო საქართველოს მეაბრეშუმეობის და მეფუტკრეობის ექსპონატებს.** საგამოფენო კომისიის უკანასკნელ სხდომის შემდეგ პირველი ჯილდო მიენიჭათ საქართველოს მეაბრეშუმეთა და მეფუტკრეობის ექსპონატებს.

— **ლენინის ბაღი.** ლენინის საბაღო ადგილის დაგეგმვა უკვე დაწყებულია ინგლისურ სისტემაზე.

— **საქართველოს ხაზოგადო ღვინოები მოსკოვის გამოფენაზე.** საქ. საგანგებო ღვინოების ექსპონატებმა მოსკოვის სახ. სამ. გამოფენაზე მიიღეს ჯილდო და ცნობილი იქნენ ყველაზე საუკეთესო ხარისხის ღვინოებათ.

— **საცდელ-საჩვენებელი ექსპონატები გამოფენაზე.** ჯილდო მიიღეს გამოფენაზე აგრეთვე საქართველოს საცდელ-საჩვენებელ დაწესებულებების ექსპონატებმა.

— **რამდენი შაქარი უნდა ამიერ-კავკასიას წელიწადში.** ა. კ. გარეშე ვაჭრობის კომისარიატის ცნობით ამიერ-კავკასიას წელიწადში სჭირდება 800,000 ფუთი შაქარი.

— **სესხი არტელებს.** შრ. ბირჟის კომიტეტი შუამდგომლობს შრ. სახ. კომისარიატის წინაშე, რათა, მეტყვევთა პირველ არტელს სესხის სახით მიეცეს 50 მან. ჩერვონეცით.

— **უფასო სადილით სარგებლობა.** შრ. ბირჟის კომიტეტის დადგენილებით, უფასო სადილით სარგებლობის უფლება ეძლევათ გარდა პროფ-კავშირის უმუშევარ წევრებსა, აგრეთვე არა კავშირის წევრებსაც ზოგიერთ შემთხვევაში—სტუდენტებსაც.

— **შრომის ბირჟა.** 25 ოქტომბერს, შრომის ბირჟაში აღრიცხვაზე გამოცხადდა—289 უმუშევარი. ახლად ჩაეწერა—114 უმუშავარი. გაიგზავნა სამუშაოზე—119 უმუშევარი.

— **მე-3-ე ხალამოს კურსების გამგის დანიშვნა.** პროფესიონალურ მთავარ მართველობამ დანიშნა მ. სიდოროვი მე-3-ე საღამოს საერთო განათლების კურსების გამგეთ.

— **საბავშვო ლიტერატურა თათრულ ენაზე.** სოციალურ მთავარ მართველობის კოლეგიამ დაავალა საქართველოს მაჰმადიანთ ინსტრუქტორს, ხსენებულ სკოლების წიგნთ-საცავების საბავშო ლიტერატურით მომარაგების მიზნით შეადგინოს სია საბავშვო წიგნებისა, რომლებიც გამოცემული იქნება თათრულ ენაზე ადერბეიჯანში.

— **ხომხურ საბავშო ჟურ. „კარმის ცელერი“-ხათვის** განათლების კომისარიატის სამხატვრო-სალიტერატურო სექციამ მიჰმართი სომეხ პროლეტარულ მწერალთა ასოციაციას თპოვნით, რათა მან გამოგზავნოს თავისი წარმომადგენელი სომხური საბავშო ჟურნალის „კარმირ ცელერის“ სარედაქციო კოლეგიაში.

— **ხახელოსნოების მოწყობა პროფსკოლასთან.** განათლების კომისარიატის სასკოლო განყოფილებამ დაადგინა, მიეცეს 1-ლ შრომის პროფესიონალურ სკოლას ნახევარი მილიარდი მანეთი ფეხსაცმელებისა და წიგნების ასაკინძავი სახელოსნოების მოსაწყობად.

— **მუშათა კოოპერატივის გაქურდვა.** 24 გაქურდული იქნა მუშათა კოოპერატივი, მდებარე მიხეილის პროსპექტზე. წაღებულია ტილოულობა.

— **გვამის პოვნა.** 20 ოქტ. საგარეჯოს მიდამოებში, რიყის პირას. მილიციის მიერ ნაპოვნი იქნა იმავე სოფ. მცხოვრები ნიკო ხორაძე.

— **მკვლელობა.** 19 ოქტ. ძმებმა კონსტანტინე და კოლა მაყაშვილებმა მოჰკლეს თავიანთი ბიძა ანდრო მაყაშვილი. დამნაშავენი შეპყრობილნი იქნენ.

— **ქურდობა.** 24 ოქტომბერს გაქურდულია მოქ. მიხეილ სუსანოვის ბინა, საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები ღირებული 500 მილ. მანეთისა.

— **ბინის გაქურდვა.** 24 ოქტ. ღამის 1 საათზე გაქურდული იქნა მოქ. აქვსენტი ჭელიძის ბინა საიდგანაც წაღებულია სხვა და სხვა ნივთები. ღირებული 900 მილიონ მანეთისა.

— **ვალიუტის კურსი.**

26 ოქტომბერი.

ჩერვონეცი	75,500, მ.
სტერლინგი ეფექ.	68,500, „
ჩეკი.	61,000 „
დოლარი ეფექ.	15,300 „
ჩეკი.	14,300 „
ოსმალური ლირა	7,400 „
საბჭოთა ფული	12,000 „

ბარიერი

ხუთშაბათს, ნოემბრის 1-ს გაზ. „ტრიბუნას“ დამატებათ გამოვა „ახალგაზრდათა ხმა“. ამხანაგებს ვთხოვთ მასალები წინასწარ გამოგზავნონ „ტრიბუნას“ რედაქციაში.

ახალგაზრდათა კავშირი.

ეკონომიური საკითხი ჩვენს ინამდვილეში

სახელმწიფოებრივი ეკონომიკის გამაგრება და განვითარება საჭიროდ ხდის, რათა ჩვენი სახალხო მეურნეობის მიმართ განსაკუთრებული ყურადღება იქნეს მიქცეული. ეს საჭიროება არა მარტო იმით არის გამოწვეული, რომ განვლილ ომების შემდეგ აუცილებელი ხდება მრეწველობის და საერთოდ მეურნეობის აღდგენა, არამედ იმ გარემოებითაც, რომ ჩვენი სახალხო მეურნეობა განსაკუთრებულ პირობებში იმყოფება მეზობელ საბჭოთა რესპუბლიკების და უმთავრესად რუსეთის სახალხო მეურნეობასთან შედარებით. ეს პირობები ვალად სდებენ ჩვენს ეკონომიურ ორგანიზაციებს ანგარიში გაუწიონ ამ თავისებურ ვითარებას და თავიანთი პრაქტიკული საქმიანობა ადგილობრივი მეურნეობის მოთხოვნილებებსა და საჭიროებათ შეუფარდონ. წარმოადგენდა და რას წარმოადგენს ამ ჟამად ჩვენი სახალხო მეურნეობა და რა უახლოესი პრაქტიკული ზომები არის მისაღები მის ასაღორძინებლად და განსავითარებლად?

მეფის რეჟიმს ატაფერი მოუცია ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ აყვავებულობისათვის, პირიქით, მთელი მე-19 საუკუნე და უკანასკნელი ორი ათეული წელი,—ჩვენი ეკონომიური ცხოვრების დაკნინების, მისი რესურსების განიავების და ეკონომიური მონობის ეპოქა იყო, კოლონიალურ მდგომარეობათ დასახვა ჩვენი, იმდროინდელი მდგომარეობისა,—ძლიერ რბილი შეფასება იქნებოდა მეფის მთავრობის ეკონომიური პროგრამის ჩვენ მიმართ. ჩვენი ბაზარი, კრედიტი, ვაჭრობა, ტრანსპორტი გარდა იმისა რომ სავსებით შემოტანილ საქონლების გასაღებასა და გაცვლა-გამოცვლას ემსახურებოდა, სრულიად არ წარმოადგენდენ იმ უხვ ბუნებრივ სიმდიდრეთა ხელშეხების ფაქტორებს, რომელიც ასე გამოუყენებელი, გამოუკვლეველი და განუვითარებელია დღემ-

დე. თუ კი სადმე დაწყებული ყოფილა რაიმეს ექსპლოატაცია, ეს უსათუოდ ან მტაცებლური, გამანადგურებელი იყო, ან და სრულებით უსისტემო, მოუწესრიგებელი და უსარგებლო. ჩვენში არსებულ და წარმოებულ ნედლ მასალათა გატანა ისეთი წესებითა და ზომით, რომ ამ მასალების წარმოება მკვიდრ ნიადაგზე დამდგარიყო და გამაგრებულიყო, —ოდნავ თუ იყო წარმოებული; მთავარი მიზანი მხოლოდ არსებულ ძალლონის სრულ გამოწურვაში მდგომარეობდა და მისი განვითარებისათვის არაკინ ზრუნავდა. თვით სასოფლო მეურნეობა, რომელიც უპირატეს სამეურნეო დარგს წარმოადგენს ჩვენში, განა რითმე წინ წავიდა ამ ხნის განმავლობაში? მის წარმოების წესებსა და საშვალებებს არ განუცდია ცვლილება და ჩვენს სოფელს არ მიწვდენია თანამედროვე აგრონომიის, ტეხნიკის და წარმოების ხმა.

მდგომარეობა არ შეცვლილა რევოლიუციის შემდეგაც; **დემოკრატიული მთავრობის ეკონომიური პროგრამა უფრო მეტად უპროგრამობას წარმოადგენდა, ვიდრე სამეურნეო აღმშენებლობის თავისებურ სისტემასა და გეგმას.** ევროპის კარის გახსნამ ჩვენ ბაზარს საკმაოდ მრავლად მიაწოდა ათასგვარი კომერსანტი, მოხეტიალე კომმივოიაჟერები, დაბალი ღირსების ნოქრები, მაგრამ აბა თუ რამ მოინახოს იმ სამი წლის მუშაობაში ისეთი, რაც ჩვენი მეურნეობის აყვავების საფუძვლად, მის აღსადგენად და წელმოსამაგრებლად ყოფილიყოს მიმართული. მიწის საკითხის გადაჭრა კი, რომელიც ასე სტანჯეს, ასე დაამახინჯეს და შეაარსი გამოაცალეს მენშევიკებმა, მათი მუშაობის სრული უნაყოფობისა და სიკოტრის მაჩვენებელი შეიქმნა.

დღეს მდგომარეობა არსებითად შეცვლილია ამ გარემოების გამო, რომ მუშურ-გლეხური სახელმწიფო თვით გამოდის ეკონომიურ სარბიელზე და და თავის ხელში აგროვებს მთელი ქვეყნის ეკონომიურ რესურსებს.

ამიტომ სახელმწიფოებრივი ეკონომიკის ამოცანებმა და მუშაობამ უნდა ამოსწურონ მთელი ჩვენი მეურნეობის საჭიროებანი და მანვე უნდა მისცეს მას განვითარების საშვალება. რაში მდგომარეობს ეს საჭიროება და რა უახლოესი ამოცანებია შესასრულებელი ამ მხრივ?

ყველაზე ადრე ჩვენი ყურადღება იმ ბუნებრივ სიმდიდრეებზე ჩერდება, რომელნიც ჩვენს სამეურნეო ძლიერებას საფუძვლად უნდა დაედვას. ამ უზვ სიმდიდრეთა ექსპლოატაციის საკითხი ყველაზე მნიშვნელოვანი ხდება დღეს, რადგან აღორძინებული მრეწველობა დამუშავებითი ხასიათისაა, უშუალო კავშირში იმყოფება მომპოებელი მრეწველობის ვითარებასთან. მიუხედავათ იმისა, რომ ჩვენი ბაზარი ჯერთო პერსპექტივებს ვერ უშლის ამ მომპოებელი მრეწველობის პროდუქტებს და ჩვენი ნედლი მასალა ჯერ კიდევ კარგა ხანს უცხო წარმოებისათვის უნდა იქნეს დანიშნული, ამ პროდუქტების უცხოეთის ბაზარზე გატანა, იქნება ეს მეზობელ რესპუბლიკებში თუ მის გარეთ,—ჩვენი დამუშავებითი მრეწველობის ასაღორძინებელ ფუძეთ უნდა შეიქმნეს მაინც. ჩვენთვის წარძოსადგენია ის სიძნელე, რომელიც ამ მუშაობას თან დაერთვის. უცხოეთის ბაზრის მოთხოვნილებანი, მისი განვითარებული საჭიროება აღბად ძალიან ღარიბ, პრიმიტიულ მიმწოდებელს იპოვის მრავალ ჩვენ სიმდიდრეთა დამუშავებაში, მაგრამ მით უფრო მეტად ინტენსიური უნდა შეიქმნეს ჩვენი წარმოების აღორძინებისაკენ მიმართული მუშაობა. მთავარ პირობას კი იმისათვის, რომ ამ სიმდიდრეთა ექსპლოატაციის გამორჩენა და სარგებლიანობა ადგილობრივ მრეწველობისა და მეურნეობის ინტერესებს მოხმარდეს, ი წარმოადგენს, რომ ჩვენი სიმდიდრეთა ექსპლოატაცია ან ჩვენსავე ეკონომიურ ორგანიზაციების ხელში უნდა იყოს, ან მისი უახლოესი მონაწილეობით კონცესიების და სხვა და სხვა ხელშეკრულებათა დადების დროს. ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენ მიგვაჩნია გადამჭრელად იმ საკითხში, შევძლებთ თუ არა ჩვენ ადგილობრივი მრეწველობისა და საერთოდ წარმოებისათვის განვითარების პირობების შექმნას.

მეორე დარგი, რომელიც ამავე მომპოებელ მრეწველობასთან არის დაკავშირებული,—ჩვენი სასოფლო მეურნეობაა. აგრარული საკითხის გადაჭრა, რომელსაც ასე მოუთმენლად ელოდა ჩვენი სოფელი და მისი მეურნეობა, ჯერ კიდევ არ წარმოადგენს სოფლის მეურნეობის აღორძინების საბოლოო პირობას. გარეშე ბაზრების პურმა ასეთ მდგომარეობაში ჩააყენა ჩვენი სოფლის მეურნეობა, რომ მის პროდუქტებს ფასი აღარ აქვს, მრეწველობითი უნარი მას ხომ სავსებით დაეკარგა. ბუნებრივი და კლიმატიური პირობები ფართო შესაძლებლობას იძლევიან ჩვენი სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისა და განვითარებისათვის. შექმნილმა ეკონომიურმა კონიუქტურამ ახალ გზაზე უნდა დააყენოს ის და ახალი საშვუალებანი უჩვენოს აღორძინებისათვის. ამ ამოცანის შესრულება შეადგენს უდიდეს მოვალეობას ჩვენი ეკონომიური ორგანიზაციისას.

საგარეო ვაჭრობის ორგანოს მუშაობასაკ უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა შექმნილ გარემოებებში. შინაური ეკონომიური აღმშენებლობა ფუძე ოცნება იქნებოდა, რომ ამ მუშაობას ზურგს არ უმაგრებდეს და მასთან კონტაქტით არ მუშაობდეს საგარეო ვაჭრობის ორგანო. სავაჭრო ორგანოების მნიშვნელობა ამ მხრივ განუზომელია: ადგილობრივ მოთხოვნილებათათვის ანგარიშის გაწევა ექსპორტისა და იმპორტის დროს კატეგორიული მოთხოვნილებაა მთელი სახალხო მეურნეობისა.

ძველი მეურნეობის მოთხოვნილებანი, მისი საჭიროება და ნაკლი აუცილებლად მოითხოვს მხოლოდ დაინტერესებულ ორგანოებს მიეცეთ საქმიანობის საშვალება იქ, სადაც უპასუხისმგებლო და გამვლელ სუბიექტებს მატერიალური გამორჩენის მეტი არა აინტერესებთ რა. ამიტომ, საგარეო ვაჭრობის ორგანოს მძლავრმა ხელმა თავის მუშაობის ფარგლებში უნდა მოაქციოს ყოველივე ის, რაც ადგილობრივ ინტერესებთანაა უშუალოდ დაკავშირებული და რაც შემთხვევით ელემენტთა ჩარევას ვერ ითმენს.

გარდა ამისა მეტად მნიშვნელოვანი და საარსებო საკითხია კრედიტის საკითხი. სახალხო მეურნეობა კაპიტალების საჭიროებას მეტად მწვავედ განიცდის. ეს საჭიროება ჩვენსავე სასარგებლოდ უნდა გამოვიყენოთ; ადგილობრივი საკრედიტო დაწესებულებების დახმარება შეადგენს ამ მხრივ უსაჭიროეს ნაბიჯს; ამ დახმარებამ უნდა შესძლოს. კრედიტის ფერმების განვითარება ჩვენში და მისი ტეხნიკის ახალ პირობებთან შეფარდება. ყოველგვარი ცდა იქით უნდა იქნეს მიმართული, რომ ადგილობრივმა კრედიტმა დააკმაყოფილოს ადგილობრივი მოთხოვნილებანი და უცხო კაპუტალის მიშველება რთული სააღმშენებლო ამოცანების შესრულების დროს სწარმოებდეს.

ყველა ამ ამოცანების შესრულება არ წარმოადგენს განცალკევებულ სამეურნეო ორგანოთა საქმიანობის უსისტემო საგანს. სახელმწიფოებრივი ეკონომიკის პირობებში ყოველივე წინასწარ შემუშავებულ მთლიან გეგმას უნდა დაემორჩილოს; ამიტომ პირველ რიგში დგება საკითხი ამ მთლიანი გეგმის შემმუშავებელ და ხელმძღვანელ ორგანოს დაარსების შესახებ. ეკონომიური აღმშენებლობის მოთხოვნილებანი პრაქტიკულად აყენებენ სახელმწიფო გეგმის შემმუშავებელ ორგანოს დაარსების საკითხს (მსგავსად რუსეთის „გოსპლანისა“) სამეურნეო მუშაობის მთლიანი სისტემის შესამუშავებლად და ცხოვრებაში გასატარებლად.

ბ—ი.

პროვინციაში

დ. ჩოხატური

— წელს ადგილობრივ ტეხნიკუმში იქნება მხოლოდ სამი კლასი: მეორე, მესამე და მეოთხე. მეცადინობა იქ უკვე განახლდა პირველ ოქტომბრიდან; გაცხოველებული ტემპით მიმდინარეობს ტეხნიკუმის შენობის და ავეჯის რემონტი, რომელიც ამ დღეებში დასრულდება. პედაგოგიური პერსონალი თავის ადგილზეა; მეცადინობა სწარმოებს დილა-საღამოობით.

— ჩოხატაურის ტეხნიკუმის მასწავლებლებათ დანიშნული არიან: ალექსანდრე გოგიბერიძე, ვლად. რამიშვილი (უმაღ. განს.), ნინო შარაშიძე და შალ. ვაჩეიშვილი (საშ. განს.).

— ამავე ტეხნიკუმის გამგე მელ. ქავჟარაძე გადაყვანილია ლანჩხუთის ტეხნიკუმის გამგეთ; მისი მოადგილე ჯერ არ სჩანს.

— ჩოხატაურის 8 წლ. შრ. სკოლა გადაკეთებული იქნა ცხრა წლედათ, რისთვისაც მას მიემატა მეცხრე ჯგუფი. მეცხრე ჯგუფისათვის მთხოვნელთა რიცხვი აღწევდა 160-დე; ამათგან მიღებული იქნენ 120; დანარჩენს უარი ეთქვა, რადგან ისინი ვერ აღმოჩნდენ შესაფერად მომზადებულნი. მეცხრე ჯგუფის მეცადინობა სწარმოებს საღამოობით; მთელ 9 წლედში მოწაფეთა რიცხვი აღწევს 750.

— ჩოხატაურის რაიონის სკოლებში მეცადინობა უკვე განახლდა 1 ოქტომბრიდან. მთავრობის დეკრეტის თანახმად თითქმის ყველა ძველი სახელმძღვანელოები უარყოფილია. ჯერ-ჯერობით არც ახალი სჩანს, რაც დიდათ აფერხებს სისტემატიურ მეცადინეობის წარმოებას. საჭიროა მიექცეს ყურადღება ამ მოვლენას და დაჩქარებით გადმოგზავნილ იქნას ადგილობრივათ საჭირო სახელმძღვანელოები.

— ეს ერთი ხანია ადგილობრივ სახალხო სახლში წარმოდგენების დადგმა შეჩერებულია. დარწმუნებული ვართ სულ მოკლე დროში გაიხსნება ზამთრის სეზონი, რომელიც ჩატარდება უფრო ნაყოფიერად და საქმიანად.

— ჩოხატაურის სამკითხველო მდიდარია ადგილობრივი და რუსეთის ჟურნალ-გაზეთებით. მაგრამ მას ბედი არ სწყალობს. ადგილობრივი საზოგადოება მისთვის ნაკლებად იტკივებს თავს. ორ თვეში ერთხელ რაღაც გროშების გადახდაც კი უძნიმთ. ასე ფიქრობენ, გამგეობა იყო ვალდებული სამკითხველო უზრუნველყოს გაზეთებით და გამგეს აძლიოს ჯამაგირი.

მაინც და მაინც არც სამაზრო პოლიტგანმ. აქცევს დიდ ყურადღებას. ჩვენი აზრით კი აუცილებელია პოლიტგანმა აღმოუჩინოს მას დახმარება და მისცეს სამკითხველოს არსებობის საშვალება ჩოხატაური ცენტრია აღმოსავლეთ გურიისა და სირცხვილი იქნება, მეტი თუ არა, რომ აქ სამკითხველო არ არსებობდეს. რამდენიმე თვეა სამკითხველოს გამგეს ჯამაგირი არ მიულია. გამგეობას აბა ვინ მისცა ამოდენა სახსარი, რომ დაკმაყოფილოს ყველა მისი მოთხოვნილებანი. ამისათვის კარგი იქნება, თუ ადგილობრივი საზოგადოება და სამაზრო პოლიტგანიც დაინტერესდებიან სამკითხველოს ბედით და არ გამოხურავენ ასეთი სიმპატიური დაწესებულების კარებს.

— აღმოსავლეთ გურიაში, თუმცა ამინდები ძლიერ ცუდი იყო, მაგრამ წელს მოსავალი გვარიანია. სიმინდი საშუალოზე მეტი მოვიდა; ღვინომ კი ყოველივე მოლოდინს გადააჭარბა.

— მეტათ უნუგეშო მდგომარეობაში იმყოფება გზები. აღმოსავლეთ გურიის მთავარი მოკენჭილი გზა, რომელიც იწყება სადგ. საჯევახოდან, გაიარს ჩოხატაურში და მიემართება ქ ოზურგეთისაკენ, სასოფლო ტალახიან გზებს დამსგავსებია. უმეტესობა ხიდებისა აღარ არის. თუ ასე გაგრძელდა, უნდა ვიფიქროთ, რომ მთელი ამოდენა კუთხე სრულიად მოწყდება სხვა და სხვა კუთხეს საქართველოისას. აბა სოფლის გზებზე ხომ ლაპარაკიც არ შეიძლება! აქ მგონი ბედაური ცხენიც ვერ გაატანს. ზამთარი უკვე კარზეა მომდგარი და ადვილი წარმოსადგენია, თუ რა ჯოჯოხეთი იქნება მაშინ სოფლათ ცხოვრება!!

— ადგილობრივი კოოპ. კავშირი ნეტათ დიდ საქმიან მუშაობაშია. მის მიერ დიდი ყურადღება ექცევა სოფლის ნაწარმოების გასაღებას. ამ ჟამად ის იძენს თხილს, ჩაის, თაფლს და სხვ. აგრეთვე დაგროვილი აქვს საკუთარ ფარდულში 1700 დეფუთი წრეევანდელი ხმელი პარკი.

როდესაც ვახსენებთ კოოპ. კავშირს, ძალაუნებურად გვაგონდება მის განკარგულებაში მყოფი საუცხოოთ მოწყობილი ელექტრონის სადგური, რომელიც ამჟამად უძრავათ სდგას.

შეიძლება იფიქროთ, აქ კოოპ. კავშირის ბრალი იყოს მის უმოძრაობა! არა, ის არაფერ შუაშია. ოღონ უბედურება ის არის, რომ მზა-მზარეული რამ ვერ მოგვიხმარია. უბრალო სანათურით განათებას ვამჯობინებთ ელექტრონს. რას იზამ, როცა სინამდვილე ასეთია და ვერ ვხმარობთ მას, რაც ჩვენ ხელთ არი. არ ვიცი ჩვენი საზოგადოება როდემდის იქნება წყვდიადში! დრო კია ავამუშაოთ აღნიშნული მანქანა და დავსტკბეთ იმ სინათლით, რომლისთვისაც სხვა კუთხეები თავის ძალას და ღონეს არა ზოგავენ!

— განათლების მუშაკთა კავშირის ჩოხატაურის ადგილკომი ამჟამად აწარმოებს თავის წევრთა რეგისტრაციას.

მისივე თაოსნობით დადგენილია თითეულმა წევრმა აუცილებლად გამოიწეროს პროფ. ჟურნალი „საქართველოს განათლების მუშაკი“. ამნაირათ ჩოხატაურის რაიონის მასწავლებელთათვის საჭირო იქნება აღნიშნული ჟურნალი არა ნაკლებ 120 ცალისა. მანვე ყურადღება მიაქცია ჯამაგირების მიღების უსისტემობას და მომავლისათვის საქმე მოაწყო ისე, რომ მთელი რაიონის ჯამაგირები მიღებული იქნება ჩოხატაურში და აქედან დაეგზავნება თემების მასწავლებლებს. ამით მასწავლებლობას ზედმეტი ხარჯიც აშორდება და თვით სკოლებშიაც გაკვეთილების გამოშვებას ადგილი აღარ დაურჩება.

— მიმდინარე სამოსწავლო წლიდან ზოგიერთი 8 წლ. შრ. სკოლების გამგეები (ხიდისთავის, საჭამიასერის და ზემოხეთის), გადაყენებული იქნენ თანამდებობიდან.

— ოთხშაბათს, 17 ოქტომბერს, ადგილობრივ სახალხო სახლში გაიხსნა აღმოსავლეთ გურიის მასწავლებელთა კონფერენცია. კონფერენცია გახსნა განათლების განყოფ. გამგე მ. ლომინაძემ, კონფერენციას დაესწრო 150 დელეგატი მასწავლებელი; გაირჩა სხვა და სხვა საჭირბოროტო კითხვები და დაიხურა ღამის 2 საათზე.

— ხუთშაბათს, 18 ოქტომბერს, ჩოხატაურში შესდგა საბჭოთა მუშაკების კრება.

საორგანიზაციო კითხვების გარჩევის შემდეგ მოხდა ადგილკომის არჩევნები. ადგილკომში არჩეულია: სეფე ცინცაძე, ვარდენ ზამბახიძე და ასალო ცინცაძე.

ამსაითელი.

ხელოვნება

სახელმწიფო ოპერა — „სევილიელი დალაქი“

ტფილისის სახელმწიფო ოპერის სცენაზედ განახლებული როსსინის ოპერა „სევილიელი დალაქი“ უკვე ას წელიწადზე მეტს ითვლის თავის არსებობიდან. ეს ოპერა როსინის მიერ დაწერილია თავის მუსიკალურ შემოქმედების პირველ ხანებში. ბევრი სკოლა და მიმართულება შეიცვალა მას შემდეგ მუსიკაში ბევრი ოპერა ჩაბარდა მას შემდეგ არქივს, ხოლო „სევილიელი დალაქი“ აქამდის არ სცილდებოდა საოპერო რეპერტუარს; ჯერ კიდევ ბევრს ატკბობს და იტაცებს მისი მხიარულის სიცილით მჩქეფარე მუსიკა და, მიუხედავად გულუბრყვილო შინაარსისა, ჯერ კიდევ ბევრ მსმენელს იზიდავს იგი. მაგრამ გულუბრყვილო შინაარსში დიდი აზრია ჩამარხული. ოპერის სიუჟეტი, როგორც ვიცით, აღებულია ბომარშეს კომედიებიდან, სადაც ისე ხელოვნურად არის სასაცილოდ აგდებული იმ დროის ზნე-ჩვეულება.

საანგარიშო წარმოდგენის დროს, ოპერის უმთავრეს პარტიას—ფიგაროსას (სევილიელი დალაქი) ასრულებდა ტფილისისათვის ახალი მსახიობი დევლეთი. ვეჭვობთ, რომ მსახიობ დევლეთისათვის შესაძლებელი იყოს ფიგაროს პარტია თავის საუკეთესო რეპერტუარს მიაკუთვნოს. ეს პარტია კარგია, როდესაც მას ადვილად და ძალდაუტანებლივ ასრულებენ, მისი შესრულებისათვის საჭიროა ხმის თავისუფალი ხმარება და განვითარებული ტეხნიკა, უკანასკნელი კი მე დევლეთის შესრულებაში ვერ დავინახე. პირველი მოქმედების არიის შესრულებას, რომელიც, მართალი უნდა ითქვას, მეტად ძნელია, აკლდა საჭირო brio, რის გამოც იგი უფერული გამოვიდა. უკეთესად ასრულებს დევლეთი დიალოგს, რადგანაც არ შეიძლება არ დავაფასოთ მისი საკმარისი მუსიკალობა. გარეგნულად მხიარულ, თავზე ხელაღებულ „დალაქის“ სახე ვერ იყო ნათელი და დამახასიათებელი.

როზინას პარტია ექსპრომტათ შეასრულა მსახიობმა კალანდაძე-აგსოვისამ, რომელმაც შესცვალა ავად გამხდარი პოპოვი. ვოკალური მხარე კალანდაძეს აღსრულებაში სრულიად მისაღებია. რასაკვირველია პარტიის ტეხნიკური დაბრკოლებანი მსახიობმა დასძლია იმდენად, რამდენაც მას ნებას აძლევდა ხმა, მაგრამ თვისი მუსიკალობის დახმარებით, მსახიობი ამ გაჭირვებიდან გამარჯვებული გამოვიდა. გარეგნულად კალანდაძე ცოცხალი და მხიარული როზინი იყო.

ალმოვოვის პარტიას ასრულებდა მსახიობი კავსაძე. მეტად სამწუხაროა, რომ მსახიობს სცენიურის მხრით არ ეტყობა პროგრესი: იგი პარტიას ასრულებს, თითქოს სცენაზედ კი არ იყოს და საოპერო წარმოდგენაზედ, არამედ კონცერტზედ. ამის გამო პარტიას შესრულებისაგან მიღებული შთაბეჭდილება იფანტება. ვოკალურის მხრით პარტიის შესრულება კავსაძის მიერ შეიძლება სრულიად დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს.

ძალიან კარგია მსახიობი საბინინი დონ-ბაზილიოს პარტიაში. აქ ძალიან ადვილია პარტია მომღერალმა შარჟად გადააქციოს, მაგრამ საბინინის შესრულებაში ამას ადგილი არა აქვს—იგი მხოლოდ კომიკურია. მშვენივრად ასრულებს მსახიობი განთქმულ არიას დაწყევლისას, აქ მსახიობი ბევრ იუმორსა და დინამიურ ადგილებს იძლევა ვოკალურის მხრით. გრიმი და ტანისამოსი მხიარულ სიცილს იწვევს დამსწრეებში.

მსახიობი დემიანენკო დონ-ბარტოლოს პარტიას აქცევს მინიატიურად. მეტად ნიჭიერი მსახიობია დემიანენკო.

ოპერას ხელმძღვანელობდა ტფილისისათვის ახალი maestro ჩუგუნოვი. იგი მეტად განათლებული მუსიკოსია. საორკესტრო პარტიაში მან მოახერხა ბევრი მუსიკალური პერიოდების გამოყოფა, განსაკ ორებით კარგია „რეჩიტატივები“.

ჰ. ბებუთიშვილი.

ლევან ბაღაშვილის 25 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

ოქტომბრის 21—ს სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართა მუშა მსახიობის ლევან ბაღაშვილის 25 წ. სასცენო მოღვაწეობის იუბილე.

ამ საღამოსთვის რეპერტუარი ვერ იყო შემდგარი სასურველად. მუშათა უბნების გადაღებული პიესები საოპერო თეატრის დარბაზში, როდესაც საზოგადოება მეტს მოელის იუბილიარის სცენის მოღვაწეობის აღსანიშნავად და თამაშს ნიჭის დასაფასად,—ცუდს შთაბეჭდილებას სტოვებს საზოგადოებაზე.

პიესების დეკორატიული მხარე ძლიერ მოისუსტებდა, თუმცა გამოცხადებული იყო პიესების რეჟისორობა მარჯანიშვილის მიერ.

ამხ. რომ. სალაყაია დაკვირვებული ძველი მუშა მსახიობია, მას არა უშავდარა, მაგრამ ერთი შეცდომა მოუვიდა; პიესა „ბატონ და ყმაში“ მან ისე სასწრაფოთ და მსუბუქად გაატარა ტვირთი, რომელის აწევაც მისთვის ერთობ სამძიმო იყო მისი ბიმიკის მიხედვით, რომ გეგონებოდათ ხუთ გირვანქიანი ტომარა მიაქვსო.

თამარა (ბატონ და ყმაში) არ გავდა სოფლის ქალს და სუსტი იყო როლის ასრულებაში.

სცენის მოყვარე ვ. გორდაძეს არა უშავდარა, მაგრამ აჭარბებს როლის ფარგლებს მეტის დრამატიზმით.

ქ—ნი ქართველიშვილი, გრ. ყანჩელი, შ. კახელაძე და ვარო ბეგიჯანოვისა ანსაბლს ხელს უწყობდნენ.

უკანასკნელ განყოფილებაში იუბილიარს ბიუოლოცეს სხვა და სხვა სახელმწიფო ორგანიზაციებმა, დრამატიულმა წრეებმა და ფროფკავშირების წარმომადგენლებმა. მთავრობამ უძღვნა 400 მილიონი, სახალხო კვების კავშირმა 100 მილიონი, მუშათა კავშირების საბჭომ 50 მილიონი და სხვა ორგანიზაციებმა სხვა და სხვა საჩუქარი. იუბილიარის სამადლობელ სიტყვის შემდეგ, საზოგადოება დაიშალა.

მანი.

რედაქციისაგან

„ტრიბუნა“-ს № 604-ში მოთავსებული იუმორისტული „წკიპურტები“ გავდა სრულიად შემოხვევით. რედაქციას არავითარი განზრახვა არა ჰქონია ვინმესთვის მიეყენებია შეურაცხყოფა.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.